სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

**2014 წლის 28 აპრილის სხდომის**

**ოქმი №5**

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 18

**დღის წესრიგი:**

1. პროგრამის, "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს", ფარგლებში ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევი კრიტერიუმების დამტკიცება
   მომხს: თ. მახარაძე
2. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოსა და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების შექმნა
   მომხს: თ. მახარაძე

მოისმინეს: 1. პროგრამის, "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს", ფარგლებში ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევი კრიტერიუმები დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანის მ. შ. თამარ მახარაძემ

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, რ. ჯორბენაძემ, მ. გერსამიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს პროგრამის, "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს", ფარგლებში ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევად წარმოდგენილი კრიტერიუმები (დანართი №1).

მოისმინეს: 2. რექტორის 2014 წლის "05.03" №43/01-01 ბრძანების შესაბამისად ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოსა და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების შექმნის შესახებ ისაუბრა თ. მახარაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ნ. მაჭარაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიები შემდეგი შემადგენლობით:

1. **თამარ მახარაძე** - საფაკულტეტო საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე, დეკანის მ.შ.

2. **რევაზ ჯორბენაძე** - საფაკულტეტო საგამომცემლო საბჭოს მოადგილე, ფსიქოლოგიის მიმართულების კომისიის თავმჯდომარე

3. **თამარ დოლბაია** - საფაკულტეტო საგამომცემლო საბჭოს მდივანი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

4. **იაგო კაჭკაჭიშვილი** - სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

5. **თამაზ ჯოლოგუა** - ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

6. **ალექსანდრე რონდელი** - საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

7. **მალხაზ მაცაბერიძე** - პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

8. **გია ჟორჟოლიანი** - ასოცირებული პროფესორი

9. **ამირან ბერძენიშვილი** - პროფესორი

10. **შუქრი აბზიანიძე** - ასოცირებული პროფესორი

**დარგობრივი კოლეგიები:**

**საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება:**

1. თამარ დოლბაია - კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

2. რევაზ გაჩეჩილაძე - პროფესორი

3. გიორგი გოგსაძე - პროფესორი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება:

1. მალხაზ მაცაბერიძე - კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი
2. ნანა მაჭარაშვილი - ასოცირებული პროფესორი
3. კორნელი კაკაჩია – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება:

1. ალექსანდრე რონდელი - კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი
2. ზურაბ დავითაშვილი - პროფესორი
3. სერგი კაპანაძე - ასოცირებული პროფესორი

ფსიქოლოგიის მიმართულება:

1. რევაზ ჯორბენაძე - კომისიის თავმჯდომარე
2. შალვა აბზიანიძე - ასოცირებული პროფესორი
3. თამარ გაგოშიძე - პროფესორი
4. ნოდარ ბელქანია - პროფესორი
5. ლილი ხეჩუაშვილი - ასისტენტ პროფესორი

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება:

1. იაგო კაჭკაჭიშვილი - კომისიის თავმჯდომარე
2. ლალი სურმანიძე - ასოცირებული პროფესორი
3. ამირან ბერძენიშვილი - პროფესორი
4. თამარ მახარაძე - ასოცირებული პროფესორი
5. სალომე ნამიჭეიშვილი - ასისტენტ პროფესორი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება:

1. თამაზ ჯოლოგუა - კომისიის თავმჯდომარე

2. მანანა შამილიშვილი - ასოცირებული პროფესორი

3. მაია ტორაძე - ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი

საბჭოს მდივანი: თამარ დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

დანართი№1

**პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები[1]**

1. აკადემიური მოსწრება ( ბოლო სემესტრის მიხედვით) - **არაუმეტეს 80 ქულა**

- ✓ გამოითვლება წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული საგნების (არანაკლებ 27 კრედიტი) ჩაბარებისა და მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. [2]
- ✓ სტიპენდიების გამანაწილებელი კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის სასწავლო ბარათით, რომელიც განთავსებულია sms.tsu.ge-ზე.

**2. სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება [3] (გათვალისწინებული იქნება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები) - არაუმეტეს 10 ქულა.**

*შენიშვნა: წინა სემესტრის პერიოდში იგულისხმება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე პერიოდი*

| | მისანიჭებელი ქულა | პუბლიკაციები | ნაშრომთა რაოდენობა | ქულა |
|---|---|---|---|---|

[1] კონკურსში არ მონაწილეობენ პირველი და დამატებითი სემესტრის სტუდენტები.
[2] დეკანატი შუამდგომლობით შევიდა რექტორთან, რომ სტიპენდიების გაცემის ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და დაიშვას სოც. პოლ. ფაკულტეტზე მოსწავლე ყველა ის სტუდენტი, რომელიც წინა სემესტრში დააგროვებს მინიმუმ 27 კრედიტს (ეს განპირობებულია იმით, რომ სტუდენტთა გარკვეული კატეგორიისთვის ინგლისურ ენაში კრედიტების რაოდენობის ცვლილებამ 5-დან 3-მდე, ან 2-მდე, გამოიწვია მათთვის სემესტრის განმავლობაში კრედიტების შემცირება 30-დან, 27, ან 28-მდე.
[3] დაფინანსების მიღების მიზნებისთვის არ ჩაითვლება პუბლიკაცია, რომელიც განთავსებულია ბლოგებზე, ან არარედაქტირებად ვებ-გვერდებზე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | 0.4 ქულა [4] | - ინტერნეტ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები, ნაშრომები<br><br>- სასწავლო კურსის ფარგლებში მომზადებული სტატიები, ნაშრომები (გარდა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამებით[5] გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში დაბეჭდილი ნაშრომებისა, რომლებიც კურსით გათვალისწინებულ სტუდენტის შეფასებაში უკვე აისახა) | | |
| 2. | 1 ქულა [6] | - საქართველოში, მათ შორის, თსუ-ს ფარგლებში, ან უცხოეთში გამოქვეყნებული საგაზეთო პუბლიკაციები | | |
| 3. | 2 ქულა [7] | - ქართულ, ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები, მათ შორის, ანალიტიკური ცენტრების, სხვადასხვა ორგანიზაციების ეგიდის ქვეშ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები<br><br>- თსუ-ს ფარგლებში, მათ შორის, ელექტრონულ ჟურნალებში, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ან/და სტატიები | | |
| 4. | 3 ქულა [8] | - საქართველოში გამოცემულ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, პრიზი ადგილობრივ გამოფენაზე, ან კინოფესტივალზე, საქართველოს ტელე, ან რადიო-მაუწყებლების მეშვეობით გასული ტელე, ან რადიო-სიუჟეტი | | |
| 5. | 4 ქულა | - რეცენზირებად უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები; პრიზი საერთაშორისო გამოფენაზე, ან კინოფესტივალზე; უცხოურ მედია საშუალებაში | | |

[4] ამ პუნქტში გათვალისწინებულ ინტერნეტ გამოცემებში სტატიების და ნაშრომების გამოქვეყნებამდე უნდა ხორციელდებოდეს მათი კორექტირება, და/ან გარკვეულ სტანდარტებთან/მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის შემოწმება, რაც უნდა დასტურდებოდეს მხოლოდ ინტერნეტ-გამოცემის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილით. მოცემულ პუნქტში მითითებული სტატიებით, და/ან ნაშრომებით შესაძლებელია არაუმეტეს 2.0 ქულის დაგროვება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს წარმოდგენილი აქვს 5-ზე მეტი ნაშრომი და პოტენციურად მისაღები ქულები აღემატება 2.0 ქულას, ზედმეტი პუბლიკაციების ჩათვლა არ მოხდება.

[5] ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის (ქართული) და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის (ქართულ-რუსული) საბაკალავრო პროგრამა

[6] ამ პუნქტში იგულისხმება ბეჭდვითი, ან ელექტრონული გაზეთები.

[7] ამ პუნქტში გათვალისწინებულ ელექტრონულ გამოცემებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებამდე უნდა ხორციელდებოდეს მათი რედაქტირება, რაც დასტურდება მხოლოდ ელექტრონული გამოცემის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილით.

[8] ამ პუნქტში გათვალისწინებულ გამოცემებში გამოქვეყნებამდე უნდა ხდებოდეს მათი რეცენზირება და peer-review. ამ პუნქტში გათვალისწინებული ტელე, ან რადიო სიუჟეტი გამოქვეყნებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ლიცენცირებული ტელე, ან რადიო მაუწყებლ(ებ)ის საშუალებით.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გასული ტელე, ან რადიო-სიუჟეტი | | |

**3. სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა (გათვალისწინებული იქნება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები) - არაუმეტეს 10 ქულა.**

*შენიშვნა: წინა სემესტრის პერიოდში იგულისხმება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე პერიოდი*

| | მისანიჭებელი ქულა | კონფერენციები | რაოდენობა | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 0.5 ქულა [9] | - სერთიფიცირებულ ტრენინგებში, მრგვალ მაგიდებში, სემინარებში მონაწილეობა | | |
| 2 | 1 ქულა | - საქართველოში გამართულ თსუ-ს ფარგლებს გარეთ სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა | | |
| 3 | 2 ქულა | - თსუ-ში ჩატარებულ საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, დეპარტამენტის, კათედრის სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა | | |
| 4 | 3 ქულა | - ქვეყნის გარეთ გამართულ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა | | |
| 5 | 4 ქულა | - ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის, უნივერსიტეტის ფარგლებში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა | | |
| 6 | 5 ქულა | - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა | | |

*შენიშვნა:*

თუ კონფერენციაში მონაწილეობის შედეგად სტუდენტის ნაშრომი დაიბეჭდება, მაშინ დაუშვებელია ქულის მინიჭება ორივე კატეგორიაში - „კონფერენციებში მონაწილეობაშიც" და „ნაშრომების გამოქვეყნებაშიც". სტუდენტს მიენიჭება ქულა იმ კატეგორიაში, რომელშიც ის უფრო მეტ ქულას იღებს.

[9] ამ პუნქტში გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილეობის შედეგად შესაძლებელია მაქსიმუმ 2 ქულის დაგროვება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მონაწილეობს 4-ზე მეტ ღონისძიებაში და პოტენციურად მისაღები ქულები აღემატება 2.0 ქულას, ზედმეტი ზედმეტი ღონისძიებების ჩათვლა არ მოხდება.

28 ოქტ., 2014

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

### დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

1. თამარ მახარაძე

### სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ლალი სურმანიძე
4. ნინო დურგლიშვილი

### საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. ფიქრია ასანიშვილი
7. ალექსანდრე რონდელი
8. სერგი კაპანაძე

### პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

### ფსიქოლოგიის მიმართულება

13. რევაზ ჯორბენაძე
14. გუგული მაღრაძე
15. თამარ გაგოშიძე
16. ია კუტალაძე
17. ხათუნა მარწყვიშვილი
18. მზია წერეთელი

### ჟურნალისტიკის მიმართულება

19. მარიამ გერსამია
20. დალი ოსეფაშვილი
21. მარი წერეთელი
22. მანანა შამილიშვილი
23. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

24. რევაზ გაჩეჩილაძე
25. თამარ დოლბაია
26. გიორგი გოგსაძე +
27. იოსებ სალუქვაძე +

სტუდენტური თვითმმართველობა

28. ლევან ჩოხელი
29. შალვა საბაური
30. ბექა დადეშქელიანი
31. გიორგი ყიფშიძე
32. თეონა კვანჭიანი
33. გიორგი კაკაურიძე
34. ნესი კუპრეიშვილი